პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ЛЕЛО

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

№ 38 (4288)

1971 წ. 24 თებერვალი, ოთხშაბათი. ფასი 2 კაპ.

გაზეთი გამოდის 1934 წლის 18 აპრილიდან

დღეს ნომერშია:

- მსჯელობენ საგზოსა და ძიუდოს სატირგოროტო საკითხებზე
- ჩვენმა სამთომოთხილამურეებმა უკრაინაში თავი ისახელეს
- ნორჩი ნოვოსიბირსკელი მუშკეტერები

● **კავგოლოვო**, 22 თებერვალი. წყვავე ბრძოლებით ხასიათდება საბჭოთა კავშირის შეიარაღებულ ძალთა მოთხილამურეების აქ მიმდინარე ჩემპიონატი. დიდი ინტერესი გამოიწვია 25 კილომეტრზე პატრულების გუნდურმა რბოლამ. სტარტზე ხუთი გუნდი გამოვიდა (თითოეულ კოლექტივში — 4 სპორტსმენი). ბოლო წრეზე მოასპარეზეებს სასროლეთი ელოდათ და აქ ნაჩვენები შედეგები თვალსაჩინოდ განსაზღვრავდა შეჯიბრების საბოლოო ბედს. უაღრესად მძაფრი პაექრობის შემდეგ ჩემპიონის წოდება მოიხვეჭა ქვეითი ჯარების პატრულმა, რომლის შემადგენლობაში იყვნენ გ. კოვალიოვი, ნ. აფანასიევი, მ. უდინცევი და ი. კოლმაკოვი. 15 კილომეტრზე ვაჟთა რბოლა მოიგო ა. აკენტიევმა — 46.32. ვერცხლის მედალი დაისაკუთრა ა. გორლოვმა — 46.40, ხოლო ბრინჯაოსი — ვ. ტარაკანოვმა — 46.48. გუნდურ ჩათვლაში 8 სახეობის შემდეგ ლიდერობს ქვეითი ჯარების ნაკრები — 377 ქულა.

● **სტოკჰოლმი**, 22 თებერვალი. შვეციის გზებზე ჩატარებულ საზამთრო რალიში, რომელსაც „შუაღამის მზე" ჰქვია, უცხოელ ავტომობილისტებს არასდროს გაუმარჯვნიათ. ეს „ტრადიცია" არც ამჯერად დარღვეულა — ყველას აჯობა „სააბით" მოასპარეზე შვედების ეკიპაჟმა (მძღოლი ს. ბლომკვისტი). ამასწინანდელი შეჯიბრება რთულ პირობებში ჩატარდა: სტარტი 124 ეკიპაჟმა აიღო, ფინიშს კი მხოლოდ 53 მანქანამ მიაღწია. ოთხი საბჭოთა „მოსკვიჩიდან" რბოლა ორმა დაასრულა (საერთოდ კი რალიში, შვეციისა და სსრ კავშირის წარმომადგენელთა გარდა, მონაწილეობდნენ დიდი ბრიტანეთის, ჰოლანდიის, იტალიის, ფინეთისა და საფრანგეთის ავტომობილისტები). ვილნიუსელი ლ. პოტაპჩიკის ეკიპაჟი თავის კლასში X ადგილზე გავიდა, ხოლო მოსკოველი ვ. ეგოროვის ეკიპაჟმა XII ადგილი დაიკავა.

● **სოფია**, 22 თებერვალი. დღეს აქ გაიმართა განმეორებითი მეოთხედფინალური მატჩი ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასზე ფრენბურთელ ვაჟთა შორის. ადგილობრივმა ცსკა-„სეპტემვრიისკო ზნამემ" მიიღო მოსკოვის ცსკა და დაამარცხა იგი ანგარიშით 3:1 (11:15, 15:5, 15:6, 15:13). პირველი მატჩი ასეთივე ანგარიშით მოსკოველებმა მოიგეს, მაგრამ ვინაიდან მათ ბურთების უარესი ბალანსი აღმოაჩნდათ, ნახევარფინალში ბულგარელები გავიდნენ.

● **ჰავანა**, 22 თებერვალი. კუბის დედაქალაქში დაიწყო ჭადრაკში მსოფლიოს ექს-ჩემპიონ ხ.-რ. კაპაბლანკას მემორიალი. მასში მონაწილეობს 10 ქვეყნის 16 წარმომადგენელი. მათ შორის არიან საბჭოთა დიდოსტატები ე. გელერი და ა. გიპსლისი. I ტურში ისინი ერთმანეთს შეხვდნენ და პარტია ყაიმით დამთავრეს. ამავე ტურში ტრინგოვმა (ბულგარეთი) მოუგო ლეტელიეს (ჩილი), ბილეკმა (უნგრეთი) — ფერნანდესს (კუბა), ველიმიროვიჩმა (იუგოსლავია) — ერნანდესს (კუბა).

● **სტოკჰოლმი**, 22 თებერვალი. შვედ ბ. იუჰანსონის მსოფლიო რეკორდი აჭიმვაში ქვემძიმე წონის ძალოსანთათვის გააუმჯობესა იუჰანსონის თანამემამულემ, ცნობილმა ათლეტმა ჰ. ბეტენბორგმა — 187,5 კგ. მანამდე ბეტენბორგი საშუალო წონაში გამოდიოდა. მსოფლიო რეკორდების ცხრილში დღესაც აღნიშნულია მისი მიღწევა აჭიმვაში საშუალო წონის ძალოსანთათვის — 176 კგ. ახლა დამძიმდა როგორც ათლეტი, ისე შტანგაც.



## თბილისის ხალიჩაზე საჭიდაოდ

**ულან-ბატორი**, 22 თებერვალი. დღეს თბილისს გაემგზავრა მონღოლეთის თავისუფალი სტილის მოჭიდავეთა ჯგუფი, რომელიც მონაწილეობას მიიღებს ტრადიციულ საერთაშორისო ტურნირში.

მოჭიდავეების დელეგაციას ხელმძღვანელობს მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის ნაკრების მწვრთნელი ტ. მაგსარი. გუნდის შემადგენლობაში 5 ახალგაზრდა ათლეტია. ერთი მოჭიდავის გარდა, ყველა დანარჩენი პირველად გამოვა ასეთი დიდი მასშტაბის საერთაშორისო შეჯიბრებაში.



▲ **ულან-ბატორი**. მონღოლეთის სპორტსმენები გულმოდგინედ ემზადებიან მიუნხენის ოლიმპიადისთვის. მათ ძალთა მორიგი შემოწმება ჰქონდათ ეროვნულ სპარტაკიადაში, რომლის ფინალში 4000 კაცი მონაწილეობდა.

▲ **კრაისტჩიორჩი** (ახალი ზელანდია). მოცურავეთა აქ გამართულ საერთაშორისო შეჯიბრებაში ვ. ლამპემ (გფრ) 880 იარდი თავისუფალი სტილით 8 წუთსა და 44 წამში გაცურა, რაც საუკეთესო შედეგია წლეულს მსოფლიოში.

◆ **უიპეშტი**, 23 თებერვალი. ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის გათამაშების პირველ მეოთხედფინალურ მატჩში „სპარტაკ-ლევსკის" (სოფია) ფრენბურთელ ქალთა გუნდმა დაამარცხა ადგილობრივი „დოჟა" — 3:1 (15:7, 15:17, 15:8, 15:7). ამ კოლექტივთა განმეორებითი შეხვედრა ნახევარფინალში მოსკოვის „დინამოს" მეტოქეს გამოავლენს.

◆ **კრასნოდარი**, 23 თებერვალი. დღეს აქ დაიწყო ფრენბურთელ ქალთა საკავშირო ჩემპიონატის მეორე წრე. უმაღლესი ლიგის 8 გუნდი აქ 28 მატჩს გამართავს. მესამე, დასკვნითი წრე ერთი თვის შემდეგ ჩატარდება ლენინგრადში.

პროფკავშირთა

## სპარტაკიადა — ფინიშის სწორზე

გასულ კვირას დაიწყო პროფკავშირთა ზამთრის სპარტაკიადის ფინალური შეჯიბრებები, სპარტაკიადისა, რომელშიც მილიონობით საბჭოთა ფიზკულტურელმა მიიღო მონაწილეობა.

ახლა ფინალში იასპარეზებს ადგილებზე გამართულ მასობრივ სპარტაკიადებში გამარჯვებული 2 ათასზე მეტი სპორტსმენი. ისინი ლენინგრადის მახლობლად, ტერსკოლში, სვერდლოვსკსა და პერვოურალსკში 8 სახეობაში შეეცილებიან ერთმანეთს პირველობას.

ფინალური შეჯიბრებები მოციგავეებმა გახსნეს. ციგაობა საბჭოთა ქვეყანაში ერთ-ერთი ყველაზე ახალგაზრდა სპორტია, მაგრამ ამ ოლიმპიურ სახეობას კარგი პერსპექტივები უჩანს. ზამთარი საბჭოთა ქვეყანაში მყარია და საუცხოო საციგაო ტრასების ასაგები ადგილიც ძალიან ბევრია.

...ზამთრის სპორტის ლენინგრადელ გულშემატკივართა საყვარელ ადგილას — ტოკსოვოში თავი მოიყარეს უკრაინის, ბელორუსიის, საქართველოს, ლატვიის, სომხეთის, მოსკოვის, ლენინგრადის, აგრეთვე, მოსკოვის, გორკის, მურმანსკის, სვერდლოვსკის, კუიბიშევისა და ორიოლის ოლქების მოციგავეებმა.

700-მეტრიან ტრასაზე (9 ვირაჟით) პირველი სამი სერიის შემდეგ ლიდერობა ხელთ იგდო მოსკოველმა ელექტრომონტიორმა, 19 წლის ვ. შჩიტოვმა. ერთ-ერთი სერია მან ძალიან სწრაფად — 49,9 წამში დაფარა.

22 თებერვალს გამართულმა მეოთხე სერიამ დიდი ცვლილებები შეიტანა ლიდერთა განლაგებაში. ოქროს მედალი მოიხვეჭა ლენინგრადელმა მექანიკოსმა ი. იუდიჩევმა („სპარტაკი"). II ადგილზე გავიდა ასევე ლენინგრადელი ს. ოსიპოვი („ტროდი"). ბრინჯაოს მედალი ერგო შჩიტოვს.

* * *

ს უ რ ა თ ზ ე: ვაჟთა შეჯიბრების მომენტი.

ვ. გალაქტიონოვის ფოტო.



### კარზე ბოქლომი

გულისტკივილით გატყობინებთ, რომ ჩვენს ქალაქში არსებული დოსააფის ორივე ტირი კარგა ხანია თავის მოვალეობას ვეღარ ასრულებს. ბოლო ხუთი თვის მანძილზე კი მათ კარს ბოქლომი ადევს, მინები ჩამტვრეულია, ვარჯიშები არ ტარდება.

ტყვიის სროლის მოყვარულებმა სად ვივარჯიშოთ?

თელაველი დოსააფელები.

## საიუბილეო მატჩი

კვირას თბილისის ოფიცერთა სახლში გაიმართა არმიელ და დინამოელ მოჭადრაკეთა გუნდების ამხანაგური ტრადიციული მატჩი, რომელიც სსრ კავშირის შეიარაღებულ ძალთა 53 წლისთავსა და საბჭოთა საქართველოს 50 წლისთავს მიეძღვნა. ეს გუნდები ადრე თორმეტჯერ შეხვედრიან ერთმანეთს: 9 შეხვედრა დინამოელებმა მოიგეს, 3 — არმიელებმა. მოსალოდნელი იყო, რომ ბრძოლა ამჯერადაც უმეღავათო იქნებოდა, მით უმეტეს, რომ მეტოქეები 25 დაფაზე ხვდებოდნენ ერთმანეთს.

ბრძოლამ თითქმის ხუთ საათს გასტანა. გაიმარჯვეს დინამოელებმა — 13:12.

გუნდების ლიდერთა შეხვედრებში მხოლოდ ოსტატმა ა. ბუსლაევმა („დინამო") იმარჯვა (მოუგო ლ. კერნოჟიცკის). დიდოსტატების ბ. გურგენიძისა („დინამო") და ე. ბუხუტის (ოფიცერთა სახლი), საერთაშორისო ოსტატ რ. ჯინჯიხაშვილისა („დინამო") და ოსტატ ა. იშვოზჩიკოვის (ოფიცერთა სახლი), ოსტატ ე. უბილავასა („დინამო") და ოსტატობის კანდიდატ ე. მანუკიანის (ოფიცერთა სახლი) შეხვედრები ყაიმით დამთავრდა.

მატჩში ქალებიც მონაწილეობდნენ: „დინამოს" შემადგენლობაში გამოდიოდნენ ოსტატი ც. კობაიძე, ს. ივანოვა, ოფიცერთა სახლის გუნდში — საერთაშორისო ოსტატი ა. ჩაიკოვსკაია. ჩაიკოვსკაიამ მოუგო კობაიძეს, ხოლო ივანოვა დამარცხდა არმიელ ოსტატობის კანდიდატ გ. ვარდოსანიძესთან.

„დინამოს" გუნდში თამაშობდა, აგრეთვე, თბილისის ჭადრაკის ფედერაციის თავმჯდომარე, ვეტერანი პირველთანრიგოსანი ა. ჯაკობია, რომელმაც თავის გუნდს ქულა მოუტანა.

* * *

ს უ რ ა თ ზ ე: მატჩის ერთ-ერთი ეპიზოდი.

ა. კაკაბაძის ფოტო.

# ჩვენი საქმიანობის ქვაკუთხედი — სპარტაკიადებისთვის მზადება







## დარბაზში საქმიანი განწყობილებაა


1


4


2


3


5

თბილისში, სანაპიროზე მდებარე სპორტდარბაზში სსრ კავშირის ხალხთა V სპარტაკიადისთვის საქართველოს ტანმოვარჯიშე ვაჟთა და ქალთა გუნდების მზადების ერთ-ერთი მთავარი ბაზაა. აქ ყოველდღიურად ხუთ საათს ატარებენ რესპუბლიკის საუკეთესო სპორტსმენები. დარბაზში საქმიანი, სამუშაო განწყობილება სუფევს. ტანმოვარჯიშეები ყოველდღიურ, „სამუშაო" ტანსაცმელში არიან გამოწყობილი.

ამას წინათ ჩვენი კორესპონდენტი დაესწრო საქართველოს ტანმოვარჯიშეთა მეცადინეობას. აი, რა აღბეჭდა მისი ფოტოაპარატის ობიექტივმა:

1. საქართველოს ნაკრები გუნდის უფროსი მწვრთნელი ვ. ბურჯანაძე ესაუბრება სპორტის ოსტატებს ი. ნინოშვილს (მარცხნივ), ა. გნოლიძეს და მ. ბოგუსს; 2. ღერძზე ვარჯიშობს სპორტის ოსტატი ე. თარგამაძე; 3. სპორტის ოსტატი თ. კობრეიძე თავის რიგს ელის; 4. ძალის გამოსამუშავებელ ვარჯიშს ასრულებს სპორტის ოსტატი ა. გნოლიძე; 5. ტაიჭზე — სპორტის ოსტატი ე. სამხარაძე.

ხ: ქვათაძის ფოტონარკვევი.

თბილისში ძიუდოისტთა საერთაშორისო ტურნირის დამთავრების შემდეგ გაიმართა სპორტის ამ სახეობისა და სამბოს საკავშირო ფედერაციის პლენუმი. დღის წესრიგი ორ საკითხს მოიცავდა: ფედერაციის პრეზიდიუმის ანგარიშსა და ფედერაციის ახალი შემადგენლობის არჩევნებს.

მოხსენება საანგარიშო პერიოდში გაწეული მუშაობის შესახებ გააკეთა ფედერაციის პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილემ დ. გულევიჩმა. მან აღნიშნა, რომ მაღალი კლასის ოსტატთა აღზრდაში წარმატებებს აღწევენ მხოლოდ რუსეთის ფედერაციის, საქართველოს, მოსკოვისა და მოლდავეთის ორგანიზაციები, რაც, რა თქმა უნდა, საკმარისი არ არის. ეს განსაკუთრებით საგრძნობია ახლა, როცა სამბო ფართო საერთაშორისო ასპარეზზე გავიდა და იგი სსრ კავშირის ხალხთა სპარტაკიადის პროგრამაში შეიტანეს.

სამბოს განვითარების ტემპს აშკარად ჩამორჩება მისი პოპულარიზაციის ხარისხი. მაგალითად, აშკარად იგრძნობა ლიტერატურის, მეთოდური წერილების, სპეციალური სასწავლო კინოფილმების სიმცირე. მთელ რიგ ქალაქებსა და რესპუბლიკებში საკმაო რაოდენობით არა აქვთ საჭიდაო ინვენტარიც — ლეიბები, ხალათები, ფეხსაცმელი.

მომხსენებელი შეჩერდა ფედერაციის მუშაობაზე და მის კავშირზე რესპუბლიკებთან. ნაკლოვანებები და ხარვეზები ამ დარგშიც აღმოჩნდა. ითქვა მწვრთნელთა თვითნებობის ფაქტებზეც. მაგალითად, სსრ კავშირის ნაკრები გუნდის უფროსი მწვრთნელი და ფედერაციის წევრი გ. ანდრეევი ერთპიროვნულად წყვეტდა სხვადასხვა მნიშვნელოვან საკითხს, ყურადღებას არ აქცევდა კოლეგების აზრს. განსაკუთრებით თვითნებობდა იგი ნაკრები გუნდის წევრთა შერჩევისას, ამან კი აშკარა დაღი დაასვა საბჭოთა სპორტსმენთა შედეგებს დიდ სარბიელზე. ანდრეევი გადააყენეს უფროსი მწვრთნელის პოსტიდან და პრეზიდიუმის შემადგენლობიდანაც გამოიყვანეს.

შეჯამდა რესპუბლიკებისა და ქალაქების მუშაობა საანგარიშო პერიოდში (1967-1970 წ.წ.). როგორც გაირკვა, ოქროს, ვერცხლისა და ბრინჯაოს მედლების მარაგით სსრ კავშირში I ადგილზე საქართველო ყოფილა — 67 მედალი (ოქროს 16, ვერცხლის 18, ბრინჯაოს 33 მედალი). შემდეგ მოდიან რუსეთის ფედერაცია — 64 მედალი (შესაბამისად — 24, 13, 27) და მოსკოვი — 54 (24, 9, 21).

ხაზი გაესვა იმასაც, რომ აღნიშნულ პერიოდში გადაჭარბებით შესრულდა თანრიგოსანთა მომზადების გეგმა. სპორტსაზოგადოებათა შორის სამბოს განვითარების საქმეში ყველაზე დიდი წარმატებები „დინამოს" მოუპოვებია.

სიტყვით გამოსულებმა ნ. მასარსკიმ (ლენინგრადი), ა. ლეონარდოვმა (ლვოვი), გ. შულცმა, გ. ფრაერმა, ე. ჩუმაკოვმა (ყველა — მოსკოვი), ა. შკოლნიკოვმა (კიევი), ბ. მაზიაშვილმა, ი. ურუშაძემ (ორივე — საქართველო) მკაცრად ამხილეს ფედერაციის საქმიანობაში არსებული ნაკლოვანებები. ფედერაციის მუშაობა შეაჯამა ფიზკულტურისა და სპორტის საკავშირო კომიტეტის წარმომადგენელმა ა. ლენცმა.

აირჩიეს ფედერაციის პრეზიდიუმის ახალი შემადგენლობა: თავმჯდომარე — გ. სუმუჩკინი (მოსკოვი), მოადგილეები — ლ. გულევიჩი და გ. კრავჩენკო (ორივე — მოსკოვი). საქართველოდან ფედერაციის პრეზიდიუმის შემადგენლობაში შეყვანილია სამბოსა და ძიუდოს რესპუბლიკური ფედერაციის თავმჯდომარე ი. ურუშაძე. სსრ კავშირის ნაკრები გუნდის უფროს მწვრთნელად დაინიშნა ს. იონოვი, მწვრთნელთა საბჭოს თავმჯდომარედ — ე. ჩუმაკოვი (ორივე — მოსკოვი).

დამტკიცდა სსრ კავშირის ნაკრების შემადგენლობა, რომელიც ევროპის ჩემპიონატისთვის იწყებს მზადებას. საქართველოდან ნაკრებში მოხვდნენ გ. ონაშვილი, რ. ოდიშელიძე, გ. თანდელოვი, გ. გოგოლაური, ე. ნინიაშვილი, ა. მუზაევი, შ. ჩოჩიშვილი, ო. ნათელაშვილი, ა. მარტყოფლიშვილი, შ. ფიცხელაური.

ნაკრების ერთ-ერთ მწვრთნელად მიწვეულია ბ. მაზიაშვილი.

**ძ. ნინიაშვილი,**
**სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელი.**

## იმსჯელეს, დაადგინეს, შეარჩიეს

## სასტიკი ბრძოლა გამოვუცხადოთ უდისციპლინობას!

ამას წინათ თბილისის ფალავანთა კლუბში შედგა სამბოსა და ძიუდოს რესპუბლიკური ფედერაციის პრეზიდიუმის სხდომა. ინფორმაცია ძიუდოისტთა თბილისის საერთაშორისო ტურნირის შედეგებზე გააკეთა საქართველოს ნაკრები გუნდის უფროსმა ბ. მაზიაშვილმა. მან ილაპარაკა რესპუბლიკის სამბისტთა წარმატებებზე, ხაზი გაუსვა ხარვეზებსაც და აღნიშნა, რომ ჩვენს ათლეტებს აღნიშნულ ტურნირში უკეთ გამოსვლაც შეეძლოთ.

ფედერაციის წევრებმა იმსჯელეს რესპუბლიკის ნაკრები გუნდის მზადების საჭირბოროტო საკითხებზე და იმ სერიოზულ ამოცანებზე, რასაც საქართველოს სპორტული საზოგადოებრიობა უყენებს სამბისტებს. სიტყვით გამოსულთა საერთო აზრით, დღეს სსრ კავშირის ხალხთა V სპარტაკიადა სპორტსმენთა საყოველთაო ყურადღების ცენტრში დგას და მზადებაც სწორედ ამ ნიშნით მიმდინარეობს.

სხდომაზე ბევრი საინტერესო და ყურადსაღები მოსაზრება გამოითქვა სპორტსმენთა იდეურ-პოლიტიკური მომზადების თაობაზე. აღინიშნა დისციპლინის დარღვევის ცალკეული შემთხვევებიც. კამათში გამოსულებმა მკაცრად გააკრიტიკეს საერთაშორისო ტურნირის წინა პერიოდში ზოგიერთი სამბისტის საქციელი, რაც ჩრდილს აყენებს საბჭოთა სპორტსმენის მორალურ სახეს. ფედერაციამ სათანადოდ დასაჯა ისინი და ამავე დროს გააფრთხილა, რომ შემდგომში უფრო მკაცრ და გადამწყვეტ ზომებს მიმართავს. დასჯილთა შორის არიან კასპელი ათლეტები ნ. ბეინიშვილი, გ. ბალხამიშვილი, ა. მალაციძე, აგრეთვე, გორელი გ. თანდელოვი, რომელიც ადრეც შემჩნეული იყო დისციპლინის დარღვევაში.

ფედერაციის გადაწყვეტილებით, ოთხივე სპორტსმენს გამოეცხადა სასტიკი საყვედური უკანასკნელი გაფრთხილებით.

[illegible]

✦ ონი

საბჭოთა საქართველოსა და რესპუბლიკის კომპარტიის 50 წლისთავს მიეძღვნა ონის რაიონის პირადი პირველობა სათხილამურო სპორტში. შეჯიბრება შოვში ჩატარდა. 10 კილომეტრზე ვაჟთა რბენაში გაიმარჯვა ზ. გუტაშვილმა. II ადგილზე გავიდა ჯ. ბელაშვილი, III — ვ. ბაღაშვილი. ქალები 5 კილომეტრზე დარბოდნენ. აქ საპრიზო ადგილები ასე განაწილდა: 1. ნ. ბაღაშვილი, 2. ი. ბაკურაძე, 3. მ. გუტაშვილი. პიონერები 3 კილომეტრზე რბენაში ეჯიბრებოდნენ ერთმანეთს. ყველას აჯობა გ. გოგრიჭიანმა.

**ლ. ბერიშვილი.**

სსრ კავშირის ჩემპიონატები




# „ბურევესტნიკმა" თავის პრინციპს უღალატა



თბილისი. სპორტის სასახლე. 22 თებერვალი.
„ბურევესტნიკი" (თბილისი) — ვეფ (რიგა) 81:87 (39:35).
მსაჯები: მ. გრიგორიევი (მოსკოვი), ს. აფანასიევი (ლენინგრადი).
დუბლიორები—90:81 (41:32).

მატჩის მოკლე შინაარსი დაახლოებით ასეთია: დასაწყისში ინიციატივას სტუმრები ფლობდნენ. ერთ მომენტში ვეფ-ი 8 ქულითაც კი დაწინაურდა. შემდეგ მდგომარეობა გათანაბრდა. ტაიმის მიწურულს უკვე „ბურევესტნიკი" იყო 8 ქულით წინ. შესვენების შემდეგაც ერთხანს უპირატესობას მასპინძლები ინარჩუნებდნენ. 25-ე წუთისთვის ისინი წინ იყვნენ 9 ქულით (50:41). მომდევნო ოთხ წუთში ძალთა შეფარდება მკვეთრად შეიცვალა რიგელთა სასარგებლოდ. ახლა უკვე ისინი დაწინაურდნენ ქულით (59:58). ეს მიკროტაიმი „ბურევესტნიკმა" წააგო ანგარიშით 8:18. მატჩის დასკვნით ნაწილში სტუმრებს ეყოთ ძალა და ბრძოლაც მოიგეს.

ასეთია ძირითადი შტრიხები მატჩისა, რომელმაც ბურევესტნიკელთა თამაშის სტილზე უკვე შექმნილი აზრი ერთგვარად შეარყია. ვეფ-მა უდავოდ დამსახურებულად გაიმარჯვა. იგი მეტოქეზე მეტად იყო გამსჭვალული ქულის მოგების სურვილით, უფრო გაბედულად თამაშობდა და, რახან მიზნის მისაღწევად ეფექტური გზაც მონახა, ცხადია, თავისი მთავარი ამოცანა შესრულებულად ჩათვალა.

კალათბურთის თამაში რამდენიმე ისეთი ელემენტისგან შედგება, რომელთა მეტნაკლებად ზუსტად შესრულება წარმატების გარანტიას იძლევა. ერთ-ერთი ასეთი ელემენტი, რომელიც თითქმის მთელი ჩემპიონატის მანძილზე თბილისელთა მთავარი იარაღიც იყო, თავდასხმაა — სწრაფი, მოულოდნელი, კოლექტიური. ამ დღეს „ბურევესტნიკმა" რატომღაც უღალატა თავის პრინციპს. სუსტად და, რაც მთავარია, დაგვიანებით აგებდა იგი თავდაცვით ბასტიონებსაც. ამიტომ იყო, რომ რიგელებს მუდამ, როგორც წესი, ერთი ან ორი ზედმეტი კალათბურთელი ჰყავდათ ხან თავდასხმაში, ხან კი დაცვაში.

ფარქვეშ ბრძოლაში მეტწილად სტუმრები იმარჯვებდნენ. თბილისელების შეცდომების მიზეზით ბურთი ხშირად იკარგებოდა, უაღრესად დაბალი იყო სროლის სიზუსტის პროცენტი (მათ შორის, საჯარიმოებისაც).

ახლა თავი მოვუყაროთ ყველაფერ ზემონათქვამს და მარცხის მიზეზიც ცხადი გახდება: უარი შეტევაზე, დაცვის სისუსტე, წაგებული ფარი, უზუსტო გადაცემები და სროლა — ალბათ დაგვეთანხმებით, რომ კალათბურთი სხვა არაფერია. მართალია, ჩხიკვაძემ ამ მატჩში თავის გუნდს 24 ქულა შესძინა, ალთაბაევი კი ბოლომდე თავგანწირვით იბრძოდა, მაგრამ არც ერთსა და არც მეორეს დანარჩენებმა მხარი არ აუბეს. ორი მებრძოლის ენთუზიაზმმა, ცხადია, ვერაფერი დააკლო მეტოქეთა ერთიანი სურვილით გამსჭვალულ კოლექტივს.

რა მდგომარეობა შეიქმნა აუტსაიდერთა რიგებში თბილისის „ბურევესტნიკის" ამ წაგების შემდეგ? შველის თუ არა ეს ქულა ვეფ-ს? რიგელ კალათბურთელებს ჩასატარებელი აქვთ 3 შეხვედრა: ერთი — თბილისში, „დინამოსთან", და ორიც შინ — კიევის „სტროიტელთან" და არმიელებთან. ობიექტურად, ვეფ-ს შეუძლია 6 ქულას მიაღწიოს.

უფრო რთულ მდგომარეობაშია რიგის ასკ. მას დარჩა ერთი გასვლითი მატჩი ლენინგრადის „სპარტაკთან" და 3 შეხვედრა შინ, საკმაოდ უსიამოვნო მეტოქეებთან — „ჟალგირისთან", კიევის „სტროიტელთან" და არმიელებთან. მინსკის რადიოტექნიკის ინსტიტუტის კოლექტივი შინ მიიღებს თბილისის „დინამოს" და „ბურევესტნიკს", ხოლო მოსკოვის „დინამოს" და ტარტუს „კალევს" მათივე მოედანზე ეთამაშება.

ამ სამ აუტსაიდერს უშუალოდ ემიჯნება კიევის ასკ, რომელიც შინ მხოლოდ თბილისის „ბურევესტნიკს" შეხვდება, დანარჩენ გუნდებს, კერძოდ კი „ჟალგირისს", კიევის ასკ-სა და ვეფ-ს — მათივე მოედნებზე.

დაბოლოს, ბურევესტნიკელთა დარჩენილ მატჩებზე: თბილისის „დინამოსთან" შეხვედრის შემდეგ ისინი ჯერ მინსკში გაემგზავრებიან, შემდეგ ორ მატჩს გამართავენ კიევში და ბოლოს შინ ცსკა-ს მიიღებენ.

მდგომარეობა, როგორც ხედავთ, რთულია, მაგრამ „ბურევესტნიკის" შანსები სხვებთან შედარებით უფრო საიმედოა.

**ნ. გუგუშვილი.**

* * *

სურათზე: ვ. ალთაბაევი (მარცხნივ) უტევს მეტოქის კალათს.

გ. დოლენჯაშვილის ფოტო.

# ლიდერი თუ ჩემპიონი?

გუშინწინ გაიმართა მორიგი ტურის კიდევ ორი მატჩი.

**მოსკოვი.** სსრ კავშირის ჩემპიონი ცსკა ბეჯითად უახლოვდება გათამაშების ერთპიროვნულ ლიდერს — ლენინგრადის „სპარტაკს". არმიელებმა ამჯერად რიგელი თანაკლუბელები დაამარცხეს—92:78. მართალია, ლიდერსა და ჩემპიონს ჯერ კიდევ 2 ქულა აშორებს, მაგრამ დაკარგული ქულებით ისინი თითქმის გაუთანაბრდნენ ერთმანეთს. როგორც ჩანს, ოქროს მედლების საკითხი გადაწყდება 14 მარტს, როცა ცსკა „სპარტაკს" უმასპინძლებს.

**კიევი.** ადგილობრივმა „სტროიტელმა", რომელიც დამარცხდა „ჟალგირისთან" (83:87), საგრძნობლად გაიუარესა საპრიზო ადგილზე გასვლის შანსი.

### გათამაშების ცხრილი
ძირითადი შემადგენლობანი
მდგომარეობა 24 თებერვლისთვის

| | თ. | მ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|
| „სპარტაკი" (ლენინგრადი) | 17 | 15 | 2 | 1191—1034 | 15 |
| ცსკა | 16 | 13 | 3 | 1278—1114 | 13 |
| „ჟალგირისი" (კაუნასი) | 19 | 13 | 6 | 1558—1472 | 13 |
| „დინამო" (მოსკოვი) | 19 | 11 | 8 | 1481—1403 | 11 |
| „სტროიტელი" (კიევი) | 18 | 10 | 8 | 1325—1265 | 10 |
| „კალევი" (ტარტუ) | 19 | 10 | 9 | 1464—1405 | 10 |
| „დინამო" (თბილისი) | 16 | 9 | 7 | 1225—1250 | 9 |
| „ბურევესტნიკი" (თბილისი) | 17 | 7 | 10 | 1235—1295 | 7 |
| ასკ (კიევი) | 18 | 6 | 12 | 1221—1323 | 6 |
| ვეფ (რიგა) | 19 | 5 | 14 | 1401—1578 | 5 |
| ასკ (რიგა) | 18 | 4 | 14 | 1270—1385 | 4 |
| რტი (მინსკი) | 18 | 4 | 14 | 1213—1338 | 4 |

# ფინიშამდე ერთი ნაბიჯიღა დარჩა

გუშინწინ რიგაში დაიწყო უმაღლესი ლიგის ქალთა საკავშირო ჩემპიონატის დასკვნითი მატჩები. ლატვიის დედაქალაქში თავმოყრილ თორმეტ კოლექტივს ჩასატარებელი აქვს ბოლო მატჩები და მხოლოდ ამის შემდეგ გაირკვევა ახალი ჩემპიონის ვინაობა.

გათამაშების ლიდერმა — ლენინგრადის „სპარტაკმა" მძიმე ბრძოლაში გამოგლიჯა ქულა სვერდლოვსკის „ურალმაშს" — 62:59. დასკვნითი ტურის პირველ მატჩში წარმატებას მიაღწია ჩემპიონმაც — რიგის ტტტ-მ. მან შედარებით იოლად გატეხა მოსკოვის ოლქის სპარტაკელთა წინააღმდეგობა — 87:62.

დანარჩენი შეხვედრები ასე დამთავრდა: „სერპ ი მოლოტი" (მოსკოვი) — „დინამო" (მოსკოვი) 87:79, „დინამო" (კიევი) — „სტალი" (დნეპროპეტროვსკი) 64:51, „სპარტაკი" (მოსკოვი) — „ბურევესტნიკი" (ლენინგრადი) 64:63, „კიბირკშტისი" (ვილნიუსი) — „პოლიტექნიკა" (კაუნასი) 74:56.

### გათამაშების ცხრილი
მდგომარეობა 28 თებერვლისთვის

| | თ. | მ. | წ. | ქ. |
|---|---|---|---|---|
| „სპარტაკი" (ლენინგრადი) | 17 | 16 | 1 | 16 |
| ტტტ (რიგა) | 17 | 15 | 2 | 15 |
| „კიბირკშტისი" (ვილნიუსი) | 17 | 13 | 4 | 13 |
| „დინამო" (მოსკოვი) | 17 | 11 | 6 | 11 |
| „სპარტაკი" (მოსკოვის ოლქი) | 17 | 10 | 7 | 10 |
| „სერპ ი მოლოტი" (მოსკოვი) | 17 | 9 | 8 | 9 |
| „დინამო" (კიევი) | 17 | 8 | 9 | 8 |
| „ურალმაში" (სვერდლოვსკი) | 17 | 7 | 10 | 7 |
| „სპარტაკი" (მოსკოვი) | 17 | 5 | 12 | 5 |
| „ბურევესტნიკი" (ლენინგრადი) | 17 | 3 | 14 | 3 |
| „პოლიტექნიკა" (კაუნასი) | 17 | 3 | 14 | 3 |
| „სტალი" (დნეპროპეტროვსკი) | 17 | 2 | 15 | 2 |

# ასე არასდროს უასპარეზიათ

როგორც უკვე ვწერდით, სლავსკოეში, სადაც „დინამოს" ცენტრალური საბჭოს პირველობა ჩატარდა, საქართველოს სამთომოთხილამურეებმა წარმატებას მიაღწიეს.

... სლავსკოეში გაზაფხული ნაადრევად დაიწყო. შეჯიბრებისთვის მეტნაკლებად ხელსაყრელი პირობები მხოლოდ ტროსტიანის მთაზე იყო, მაგრამ ამინდი აქაც ხშირად იცვლებოდა. საცხის შერჩევა და ბრძოლა ჭირდა. ზოგმა ფავორიტმა მხოლოდ არახელსაყრელი ამინდის გამო დაკარგა საპრიზო ადგილი. მათ შორის იყო საქართველოს გუნდის წევრი, სპორტის ოსტატი გ. აბრამიშვილი, რომელმაც სპეციალური სლალომის ნახევარფინალურ შეჯიბრებაში მესამე შედეგი აჩვენა, ფინალურ ტურნირში კი დისტანცია ვერ დაამთავრა.

სპეციალურ სლალომში აბრამიშვილის ბედი გაიზიარეს სსრ კავშირის მრავალგზის ჩემპიონმა, სპორტის დამსახურებულმა ოსტატმა ა. ფილატოვმა, ცნობილმა ოსტატმა გ. შეინმა და სხვ. გიგანტურ სლალომში შეჯიბრებას ვამოაკლდა კიეველი ვ. მარკინი, ხოლო სპეციალურ სლალომში — გიგანტურ სლალომსა და სწრაფდაშვებაში აქ გამარჯვებული გ. კოზლოვა (სლავსკოე)...

მაგრამ სპორტის კანონი მტკიცეა: გამარჯვება მას დარჩება, ვინც ყველა სიძნელეს გადალახავს და ძალებს თანაბრად გაანაწილებს.

ვაჟებში ასეთი აღმოჩნდნენ საქართველოს გუნდის წევრები, ბაკურიანელი სპორტის ოსტატები გ. ჯიჭოევი და ა. სტეპანიანი, ქალებში — რსფსრ-ს გუნდის წევრი ე. სტეპანენკოვა და მოსკოველი გ. ვოლკოვა.

სპეციალური სლალომის ფინალურ ტურნირში ვაჟებსა და ქალებს 450-მეტრიანი ტრასა უნდა გაევლოთ, ოღონდ ქალებისთვის სიმაღლეთა სხვაობა 150 მეტრი იყო, ვაჟებისთვის კი 165 (ვაჟთა შეჯიბრების ტრასა უფრო ციცაბო ფერდობზე მოეწყო). ქალთა ტურნირის დისტანციაზე 44 და 42 კარი იდგა, ვაჟთა ტრასაზე — 52 და 48.

ბადალი არ ჰყავდა სტეპანენკოვას. მან ორივე ცდით (48,6+47,5) აჯობა მეტოქეებს, საბოლოოდ 1.36,1 აჩვენა და პირველად შეასრულა სპორტის ოსტატის ნორმატივი. ვოლკოვა სტეპანენკოვას 1,5 წამით ჩამორჩა. მესამე იყო მ. ხოლოდნიაკოვა (ყაზახეთი) — 1.41,9. სტეპანენკოვა გიგანტურ სლალომსა (1500 მ, 450 მ, 56 კარი) და სწრაფდაშვებაში (1600 მ, 460 მ, 17 კარი) საუკეთესოთა სამეულში ვეღარ მოხვდა, მაგრამ ცუდად არც ერთხელ არ უვლია და სამჭიდშიც ჩემპიონობა მოიპოვა. გ. კოზლოვამ, რომელმაც გიგანტური სლალომიც მოიგო (1.41,0) და სწრაფდაშვებაც (1.25,8), სპეციალური სლალომის ტრასა ვერ დაამთავრა და სამჭიდში შეუფასებელი დარჩა.

ვოლკოვამ გიგანტურ სლალომშიც II ადგილი დაისაკუთრა — 1.51,0, ხოლო ხოლოდნიაკოვა აქაც მესამე იყო — 1.56,0. მაგრამ ვოლკოვამ სამჭიდშიც II ადგილის დაკავება თუ შეძლო, ხოლოდნიაკოვამ სამჭიდში III ადგილი ესტონელ ლ. კროონს დაუთმო.

ვაჟთა შორისაც გამარჯვებულნი ჯერ სწრაფდაშვებასა და გიგანტურ სლალომში გამოვლინდნენ, შემდეგ კი სპეციალურ სლალომში. ჯიჭოევი მეტოქეებს აშკარად სჯობდა. სწრაფდაშვების 2400-მეტრიან ტრასაზე (სიმაღლეთა სხვაობა 450 მ, 14 კარი) მან საათში საშუალოდ 80 კილომეტრის სისწრაფეს მიაღწია, 2.02,8 აჩვენა და 0,2 წამი მოუგო ვ. გოვორუხინს, ხოლო ნ. ბაბიკოვს (ორივე — ყაზახეთი) 1,3 წამით აჯობა. სტეპანიანმა IV ადგილი დაიკავა — 1.04,5. აბრამიშვილმა, რომელიც მეშვიდე კართან ტრასას ასცდა, მეთერთმეტე შედეგი (1.06,4) აჩვენა. შ. კოზანაშვილი მეცხრე კართან დაეცა, მაგრამ წამოდგა და დისტანცია მაინც დაამთავრა, თუმცა საბოლოოდ მხოლოდ 28-ე იყო—1.09,8.

ჯიჭოევმა გიგანტურ სლალომში (1500 მ, სიმაღლეთა სხვაობა 450 მ, 56 კარი) უახლოეს მეტოქეს, უკრაინის წარმომადგენელ შეინს (1.31,2) ზუსტად 0,2 წამი მოუგო, ხოლო მესამე პრიზიორს ბელოკრინკინს (რსფსრ I) 0,6 წამით აჯობა.

უხეიროდ არც საქართველოს სხვა სპორტსმენები გამოსულან: აბრამიშვილმა V ადგილი დაისაკუთრა — 1.32,4, სტეპანიანმა — VII (1.35,8), კოზანაშვილი მეცამეტე იყო — 1.40,0, გუნდურ ჩათვლაში საქართველოს დინამოელთა კვარტეტი ლიდერობდა.

სპეციალური სლალომი ბოლო სახეობა იყო. ფინალურ ტურნირში პირველი ცდით ბელოკრინკინი დაწინაურდა — 43,3. მარკინი მასთან 0,4 წამს აგებდა. ჯიჭოევს მესამე შედეგი (44,1) ჰქონდა. მეორე ცდით ჯიჭოევმა და ბელოკრინკინმა ერთნაირი მაჩვენებლები (44,3) მოიპოვეს და მარკინს 0,4 წამი მოუგეს. მაგრამ ჯიჭოევი III საპრიზო ადგილზე მაღლა მაინც ვერ ავიდა — 1.28,4. ჩემპიონობა ვერც მარკინმა მოიგო, თუმცა ორი ცდის ჯამში მანაც, ისევე როგორც ბელოკრინკინმა, 1.28,0 აჩვენა. სტეპანიანმა V ადგილი დაიკავა (1.34,2). კოზანაშვილი სპეციალური სლალომის ფინალურ ტურნირში არ მონაწილეობდა.

სამჭიდში საპრიზო ადგილები ასე განაწილდა: 1. ჯიჭოევი, 2. სტეპანიანი, 3. გოვორუხინი.

როცა გუნდური შედეგები შეჯამდა, ვაჟთა შორის საზოგადოების ჩემპიონობა საქართველოს „დინამოს" კვარტეტს დარჩა — 118 ქულა. საქართველოს მოთხილამურეებს ასე კარგად არასდროს უასპარეზიათ.

საერთო გუნდურ ჩათვლაში გაიმარჯვა მოსკოვის ნაკრებმა — 148 ქულა. II ადგილზეა ყაზახეთი — 146, III — რსფსრ I — 131. საქართველოს გუნდმა მხოლოდ ვაჟთა კოლექტივით IV ადგილი დაიკავა.

ახლა სლავსკოეს სარბიელი „დინამოს" ახალგაზრდა სამთომოთხილამურეებს დაეთმოთ. აქ რამდენიმე დღეს გაგრძელდება საკავშირო ტურნირი, რომელშიც საქართველოდან გამოდიან ბაკურიანის საშუალო სკოლის მოსწავლეები, ნორჩი დინამოელები ა. ბანდური, გ. ფანჯაკიძე (უფროსი ასაკი), თბილისელი გ. ლომინაძე (საშუალო ასაკი) და ბაკურიანელი ვ. ჯიჭოევი (უმცროსი ასაკი). შეჯიბრებაში უკონკურსოდ მონაწილეობენ ბაკურიანელები ა. კოზანაშვილი და ლ. ბანდური. გოგონათა ტურნირში გამოვლენ ბაკურიანელი მოსწავლეები თ. კოზანაშვილი და დ. ბაკაევა. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ჩვენი რესპუბლიკის გოგონათა გუნდს ამ შეჯიბრებაში ორი წევრი აკლია.

**რ. მაღრაძე.**
(ჩვენი სპეც. კორ.).

სლავსკოე.



* * *

სურათზე: ა. სტეპანიანი ასპარეზობისას.

თ. გელაშვილის ფოტო.

# საშვი — სასკოლო დღიური

ჰოკეის ბლიც-ტურნირში, რომელსაც ყოველწლიურად ატარებს ბავშვთა სპორტული კლუბი „ზვეზდა“, 8 გუნდმა მიიღო მონაწილეობა. ეს კლუბი, რომელიც ულიანოვსკის ზასვიაჟსკის რაიონის № 2 სახლმმართველობასთან ავტოქარხნის კომკავშირელთა თაოსნობით შეიქმნა, ახლა ჰოკეის მოყვარულ 200 ბიჭს აერთიანებს.

ნორჩმა ჰოკეისტებმა მთელს ქალაქში გაითქვეს სახელი. სამი წლის მანძილზე ისინი იგებდნენ რაიონულ, საქალაქო და საოლქო შეჯიბრებებს. მათთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო შარშანდელი წელი, როცა „ოქროს შაიბის“ პრიზზე გამართულ ზონალურ ასპარეზობაში ყაზანში ყველას აჯობეს, ხოლო ფინალში VI ადგილი დაიკავეს.

საინტერესოა კლუბის მუშაობის პრინციპი. იქ ყველა მსურველს იღებენ, ევრეთ წოდებულ „რთულ“ ბავშვებს უპირატესობასაც კი ანიჭებენ.

— ოროსნებსაც იღებთ? — მორიდებით კითხულობენ ბიჭები.

— ოროსნებს ყინულზე არ ვუშვებთ.

კლუბის კანონი ასეთია: ჰოკეისტთა გუნდის წევრი სკოლაში კარგად უნდა სწავლობდეს. აქ საშვად სასკოლო დღიური აქვთ მიჩნეული.

კლუბის მეცადინეობის ცხრილში საწვრთნელ ვარჯიშთან ერთად ეთიკის გაკვეთილებიც არის შეტანილი. ბავშვებს მხოლოდ მაშინ აძლევენ წვრთნის უფლებას, როცა ისინი ამ საგანში თეორიულ და პრაქტიკულ ჩათვლას მიიღებენ.

— ჩვენი მუშაობის მთავარი მიზანი, — გვიამბობს კლუბის საბჭოს თავმჯდომარე, მისი შექმნის ერთ-ერთი თაოსანი, კომკავშირელი პ. პაშლევი, — ყოველმხრივ განვითარებული ბავშვების აღზრდაა. ჩვენი კლუბის წევრების დიდი ჯგუფი უკვე ბავშვთა სპორტულ სკოლაში გადავიყვანეთ. ყველა მათგანი მტკიცე ნებისყოფის სპორტსმენია.

**გ. გაგლიუკი.**
(საკდესის კორ.).

ულიანოვსკი.

## ჩვენი მოძმე რესპუბლიკები

ეროვნული ბიბლიოთეკა





# წლის პირველი ველორბოლა

ტაჯიკეთის დედაქალაქ დუშანბეში მოეწყო სსრ კავშირის უძლიერეს ველოსიპედისტთა წლეულს პირველი ასპარეზობა.

გამარჯვებასთან ერთად ფიზკულტურისა და სპორტის საქალაქო კომიტეტის პრიზი მოიპოვა ომსკის „ბურევესტნიკის“ წარმომადგენელმა ი. სკოსირევმა.

• • •

სურათებზე: ველორბოლის მონაწილენი დუშანბეში, მოსკოვის 800 წლისთავის სახელობის მოედანზე; დაწინაურდა ი. სკოსირევი.

რ. ნეტელიოვის ფოტო (ახალი ამბების სააგენტო).

# „ვიქტორია“ მგზავში

იგი ჯერ კიდევ სულ ახალგაზრდაა: იანვარში სამი წელი შეუსრულდა, მაგრამ უკვე ცნობილია არა მარტო ჩვენს ქვეყანაში, არამედ საზღვარგარეთაც. ლაპარაკია ციმბირის ბავშვთა საფარიკაო კლუბ „ვიქტორიაზე“, რომელიც საზოგადოებრივ საწყისებზე შეიქმნა აკადემიის ქალაქში. თავის დროზე მან მუშაობის ახალი, ორიგინალური ფორმებით მიიქცია ყურადღება. სპორტული წარმატებები ამ კლუბში თვითმიზნად არ არის ქცეული — თავისთავად იგულისხმება. კლუბის მთავარი პედაგოგიური იდეაა ჰარმონიულად განვითარებული პიროვნების აღზრდა.

„ვიქტორიის“ პროგრამა რომანტიკულია. გამორჩეულებს მუშკეტერების წოდებასაც კი ანიჭებენ. ამ საზეიმო რიტუალში ხშირად მონაწილეობს სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ციმბირის განყოფილების თავმჯდომარე, აკადემიკოსი მ. ლავრენტიევი — „ვიქტორიის“ საპატიო პრეზიდენტი. აკადემიის ქალაქისა და მახლობელი სოფლების მცხოვრები 200 ბავშვი აქ არა მარტო ფარიკაობს, არამედ ეცნობა სამამულო იარაღის ისტორიას, სწავლობს ფრანგულ ენას, მუსიკას. „ვიქტორია“ საზოგადოება „სსრ კავშირ — საფრანგეთის“ კოლექტიური წევრია.

დიუმას გმირებით გატაცება, დაშნის რაინდებად კურთხევის ცერემონია, მუშკეტერთა მოსასხამები და მთელი სათამაშო სიმბოლიკა მხოლოდ ბავშვობის რომანტიკისადმი და ფარიკაობის სამშობლოს — საფრანგეთისადმი ხარკია. „ვიქტორია“ მყარად დგას მშობლიურ ნიადაგზე და თავის ტრადიციებში ცდილობს გააცოცხლოს რუსი ხალხის წარსული, ჩაუნერგოს ბავშვებს პატივისცემა საბჭოთა სამშობლოს გმირებისადმი.

ამ იდეებით არის აღსავსე კლუბის ყოველდღიური ცხოვრება. სასწავლო ჯგუფებს მიკუთვნებული აქვთ სახელები „ბოროდინო“, „პერესვეტი“, „დუნდიჩი“, „ალექსანდრე ნეველი“... ერთ-ერთ ტრადიციულ ტურნირს ჰქვია „კულიკოვის ველი“, მეორე ჩუდის ტბაზე რუსი მეომრების გამარჯვებას ეძღვნება, ხოლო მესამე — ყველაზე საზეიმო — მიძღვნილია დიდ სამამულო ომში დაღუპულ ციმბირელ მეომართა ხსოვნისადმი.

სამხედრო-პატრიოტული აღზრდის ციკლს კლუბში ატარებენ ნოვოსიბირსკის უმაღლესი საერთოსაარმიო სამხედრო-პოლიტიკური სასწავლებლის ოფიცრები და კურსანტები.

ახალგაზრდა მოფარიკავენი მტკიცედ იცავენ ფიცს, რომელსაც მუშკეტერებად კურთხევის დროს დებენ: „ვფიცავ გავუფრთხილდე, დავიცვა და პატივი ვცე საკუთარ სახელს, მასწავლებლის პრესტიჟს, დავიცვა ჩემი საზოგადოების ღირსება და სამშობლოს დროშა!“

„ვიქტორიაში“ მოქმედებს ღირსების მკაცრი, მაგრამ სამართლიანი კოდექსი. არაეთიკური ქცევა და ცუდი მოსწრება კაპიტანთა კოლეგიის მიერ ისჯება.

ახლა „ვიქტორიის“ ბიოგრაფიაში ახალი ეტაპი დგას. ერთი წლის წინ საზოგადოებრივმა აქტივისტებმა საკლუბო ტრადიციების ესტაფეტა სპეციალისტ პროფესიონალებს გადასცეს. კლუბში მუშაობა დაიწყო ომსკიდან ჩამოსულმა რსფსრ-ს დამსახურებულმა მწვრთნელმა ო. გრიგორიანცმა. შემდეგ იქიდანვე ჩამოვიდა ფიზკულტურის ინსტიტუტის სამი კურსდამთავრებული — სპორტის ოსტატები სვეტლანა კარჩენკო, მ. ავერკინი და ვ. პურტოვი.

ახალგაზრდა მწვრთნელებმა შეიყვარეს „ვიქტორია“. ზოგიერთი სკეპტიკოსი ფიქრობდა, რომ პროფესიონალების მოსვლასთან ერთად „ვიქტორია“ დაკარგავდა თავის რომანტიკულ ელფერს, პედაგოგიკის არასტანდარტულ, ორიგინალურ ფორმებს. მაგრამ პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ საზოგადოებრივი მუშაკების მიერ შერჩეული იდეები მარტო ლამაზი გამონაგონი არ იყო.

უკვე მომზადდა 50-ზე მეტი თანრიგოსანი, რომელთაგან 15-მა მოზარდთა I თანრიგი მიიღო. კლუბში აღიზარდნენ ნოვოსიბირსკის პირველი ნორჩი ჩემპიონები, რაპირისტი ნ. ივანჩევა და ესპადრონისტი გ. კარაგედოვი კი რსფსრ-ს „ბურევესტნიკის“ ჩემპიონები გახდნენ.

იმ წერილების მიხედვით, რომლებსაც „ვიქტორია“ ღებულობს, ჩანს, რომ მისი პროგრამა ცხოველ ინტერესს იწვევს სსრ კავშირის სულ სხვადასხვა კუთხეში. ეჭვი არ არის, ამას დიდად შეუწყო ხელი დოკუმენტურმა ფილმმა ნორჩ ციმბირელ მუშკეტერთა ცხოვრებაზე — „დ'არტანიანი, ალიონა და სერიოჟა“, რომელიც „ვიქტორიის“ ხელმძღვანელის, ჟურნალისტ კ. რაშის სცენარის მიხედვით არის გადაღებული. ეს ფილმი რიგაში, სპორტული ფილმების საკავშირო ფესტივალზე ბრინჯაოს მედლით აღინიშნა.

... ბავშვთა საფარიკაო კლუბი „ვიქტორია“ საინტერესო, სწორ გზაზე დგას. შორს არ არის დღე, როცა მისი აღსაზრდელები საკავშირო ტურნირების საფარიკაო ბილიკებზე გამოვლენ.

**ე. კოგანი.**
(საკდესის კორ.).

ნოვოსიბირსკი.

# უსინათლო სპორტსმენთა სპარტაკიადა

„სპარტაკის“ თბილისის საქალაქო საბჭოში შემავალ ორგანიზაციებს შორის ენთუზიაზმით გამოირჩევა საქართველოს უსინათლოთა საზოგადოების პრეზიდიუმის ფიზკულტურული საბჭო. ამას წინათ სწორედ მისი თაოსნობით ჩატარდა საბჭოთა საქართველოს 50 წლისთავისადმი მიძღვნილი უსინათლო სპორტსმენთა საქალაქო სპარტაკიადა, რომლის პროგრამაში იყო ჭადრაკი, შაში, კლასიკური ჭიდაობა, მაგიდის ჩოგბურთი და ძალოსნობა. სარბიელზე 100-ზე მეტი სპორტსმენი გამოვიდა. თითოეულ გუნდში 5 კაცი იყო.

დაძაბული ბრძოლის შემდეგ გაიმარჯვა სოლანლუღის სასწავლო-საწარმოო წამოწყებამ. II ადგილი ხვდა უსინათლოთა საზოგადოების კულტურის სახლის გუნდს, III — თბილისის სასწავლო-საწარმოო წამოწყების სპორტსმენებს.

სპორტის ცალკეულ სახეობებში გაიმარჯვეს: ჭადრაკსა და ძალოსნობაში — უსინათლოთა საზოგადოების კულტურის სახლმა, შაშსა და ჭიდაობაში — სოლანლუღის სასწავლო-საწარმოო წამოწყებამ, მაგიდის ჩოგბურთში — თბილისის სასწავლო-საწარმოო წამოწყებამ.

გამარჯვებულებს გადაეცათ სიგელები და სამახსოვრო საჩუქრები.

**ნ. სოროკინი,**
სპორტის ოსტატი.

რედაქტორი მ. ქაქაბაძე.

### თბილისის სპორტული ცხოვრება

**კალათბურთი.** სპორტის სასახლე. სსრ კავშირის XXXVIII ჩემპიონატი. 24 თებერვალი. „დინამო“ (თბილისი) — ვეფ (რიგა). მატჩების დასაწყისი: სათადარიგო შემადგენლობებისა — 18 ს., ძირითადი შემადგენლობებისა — 20 ს.

**მშვილდოსნობა.** „ლოკომოტივის“ სტადიონი. 26-27 თებერვალი. უკრაინის, ლატვიისა და საქართველოს ნაკრები გუნდების მატჩი. დასაწყისი 11 ს.

**თავისუფალი ჭიდაობა.** სპორტის სასახლე. 26-28 თებერვალი. თბილისის X საერთაშორისო ტურნირი. მონაწილეობენ: ბულგარეთის, გდრ-ის, ირანის, მონღოლეთის, პოლონეთის, რუმინეთის, აშშ-ს, იუგოსლავიისა და სსრ კავშირის უძლიერესი ათლეტები. დასაწყისი: 26 თებერვალს — 12 ს. და 19 ს., 27 და 28 თებერვალს — 11 ს. და 18 ს.

ИНДЕКС 66448 საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა ლენინის ქ. № 11 უე 08465